# სახალხო გაზეთი

№ 629 ოთხშაბათი, 20 ივნისი, 1912 წ. № 629

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისავე ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

## „ახალი კლუბი“

ხუთშაბათს, 21 თიბათვეს „საბავშო საღამო“ სინემატოგრაფი, სხვა და სხვა სათამაშოები და კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა. დასაწყისი საღამოს 5½ საათზე
ბოლო საღამოს—9 საათზე. საბავშო საღამოს შემდეგ

**საზანდარი**

შესასვლელი ფასი: სტუმარი ბავშვები იხდიან—15 კაპ., მამაკაცნი—50 კ., ქალები და სტუდენტები—25 კ. (3—1366—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. (ქირურგიული) | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირაძოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო, ქალ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირაძოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | ლამბაშიძე ვ. დ. ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.<br>დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.<br>ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | მზარეულიშვილი შ. ი. (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.45)

## სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

დაარსებულია 1904 წ. მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

### პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი. არ მიიღება სიჭლექით დაავადმყოფებულნი, (25.1291.23)

## სრულიად სომეხთა კათალიკოსის შესახვედრად შემდგარი კომიტეტი

მოუწოდებს იმ საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც ჰსურთ მისი უწმინდესობის მისალმება სადგურსა ან საეპარქიო სადგომში, კეთილ-ინებონ და წერილობით აცნობონ ამის შესახებ კომიტეტს, ეპარქიატში, დიდი ვანქის ქუჩაზე, რათა მსურველთ მიეცეთ შესასვლელი ბარათები. (1.1346.1)

## შეიძლება დაკვეთა:
## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. — თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან. — ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. — ბაქოში—ილია აგლაძესთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. — ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. — ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
### ისყიდება შემდეგი წიგნები:

პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოისა და დიდი მოურავის ამბები . — 30 კ.
ჟორდანია, თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა წიგნი I. . . . . 3 მ.—
— იგივე წიგნი II. . . . . 3 „—
რუსეთის დამყარება საქართველოში . . . . . — 20 „
სტატისტიკური ცნობები საქართვ. შესახებ მე-XVIII ს. 2 „—
ფრონელი. ამბოხება კახეთისა . . . . . . . — 60 „
— მთიულეთი . . . . . — 40 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ . . . . . . 3 „—
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-XIII ს.-მდე წ. I. — 40 „
— იგივე წიგნი II . . . . . 1 „—
— იგივე წ. III . . . . . — 40 „
ქვარიანი. საქართ. მოკლე ისტორია . . . . . . — 40 „
ქართველები სპარსეთში . — 20 „
ჭავჭავაძე ილია. აი ისტორია — 35 „
— სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი . . . — 30 „
ჰყონია. ისტორ. ნარკვევი. 1 „ 50 „

გასაყიდათ მიღებული ახალი წიგნები:

ბესიკი. „კაზმ. სიტყვ.“ გამოც. 1 „ —
გრდემლი. სალიტერ. კრებ. 1 „ 50 „
თავდადებული ეჯიბი. ქართველი მეფე გლეხის ქოხში სტუმრად. . . . . . . — 5 „
ხალხური ვეფხის ტყაოსანი — 10 „
რჩეული თხზ. გ. ერისთავისა — 60 „
დარვინიზმი. ნათ. ფანცხავასი — 25 „
ექსპერიმენტალური პედაგოგიკა . . . . . . . — 75 „
ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურისა. კ. აბაშიძე — 70 „
ივანე გვარამაძე . . . . — 15 „
ბავშის თესვა-მოყვანა . . — 5 „
კონრად კიფერი. ლ. ჯანდიერისა . . . . . . . — 25 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი — 20 „
ჰლექი. მეგრაბიანცისა . . — 30 „
ტატო წულუკიძე . . . — 35 „
Кавказъ и памятники духовной культуры. Рѣчь Марра — 20 „
ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. წ. I. მ. ქ. ყიფიანი . . . . — 30 „
იგივე წ. II. ქართული ზმნის ძირი თერ. მ. ქ. ყიფ. . . — 10 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.67)

## ქუთაისი
## ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ განაახლა ვაჭრობა თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.

(25.1252.1) პატივისცემით ს. პ. ფეიქაროვი.

## დოქტორი მედიცინისა ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 190)

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—283).

## საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 319)

## ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067 (100—1117—184)

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით. იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—58)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 1—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

## ექიმი ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა ბორჯომში პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.19)

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 3)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.128)

## ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში 9—3 საათამდე.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

## ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—6)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი ხვანიშვილისა.


## ქართული პრესა

ჩვენი ახალგაზდა მხატვრის, კ. ქავთარაძის სურათთა გამოფენის შესახებ „ბათუმის გაზეთი“ შემდეგსა სწერს:

ქალაქის თვითმართველობის პატარა დარბაზში გამოფენილია ჩვენი ახალგაზდა მხატვრის კოტე ქავთარაძის სურათები და ნახატები.

გამოფენა პატარაა: სულ 70-მდე სურათი და ნახატია. ეს არც გასაკვირველია: აქ არის გამოფენილი მხოლოდ ადგილობრივი ტიპები, რომელთა დახატვაც მოუსწრია ბათუმში ყოფნის დროს, ორმოციოდ დღეში, და რამოდენიმეც ტფილისიდან ჩამოტანილი სურათი იქაური ტიპებისა. მაგრამ რაც არის, ისიც საკმაოდ მოწმობს მხატვრის უტყუარს ნიჭს.

ტფილისის ტიპებზე ჩვენ არას ვიტყვით, რადგან მათზე თავის დროს უკვე იყო აზრი გამოთქმული ტფილისის პრესაში. მხოლოდ არ შეგვიძლიან გვერდი აუაროთ პირველ ნახატს: „სასიამოვნო წიგნაკს“, რომელიც ჰხიბლავს მაყურებელს თავისი სიმშვენიერით. რა სინამდვილით არის გადმოცემული მთელი მშვენიერება უმანკო ქალწულისა!. სწორედ, რომ „მზის ჭიატის დარი არის უცნაური ის ღიმილი“, რომლითაც შემოგცქერით მშვენიერი ასული კოლხიდისა. ნეტა რას გვპირდება ეს მისი ღიმილი? ან შავი ღრმა თვალები? სიმწარეს თუ ბედნიერებას? სამოთხეს თუ ჯოჯოხეთს? ან იქნებ ორივეს ერთად?..

ან კიდევ მის გვერდით მდგომარე აჭარელი ქალები? ვინ იცის, რა საიდუმლოება იფარება ამ ორს, ჩადრით დაბურულ არსებაში? ჩადრის საიდუმლოება მხოლოდ ერთმა ალლაჰმა უწყის...

სასურველია ჩვენი საზოგადოება უფრო ყურადღებით მოეპყრას ახალგაზდა მხატვარს და მით საშუალება მისცეს მას მისი მიზნის მისაღწევად...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო.** გუშინ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ შეუდგეს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შედგენას. სიები შედგენილ უნდა იქმნეს არა უგვიანეს 8 აგვისტოსი.

✦ **ქალაქის სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის** განხილვა საბჭომ შემოდგომისთვის გადასდო.

✦ **დიდ ხევის არხი.** ქალაქის საბჭომ 25,000 მან. გადასდო დიდხევის არხის გასაყვანად. თუ ეს ფული საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ კიდევ 8,000 მან. გადაიდება.

✦ **ექსარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი პიმენი** ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელს ექიმ მიხ. გედევანიშვილს** ბევრს ჩვენს მწერლებისაგან ცნობები მოსდის ილიას სხვა და სხვა ფსევდონიმების შესახებ. სხვათა შორის უთითებენ 1904 წ. „ივერიის“ №№ 287, 290 და 291-ში დაბეჭდილ ლექსებზე: „სატრფოს“, „ძველციხეს“, „მუსიკას“ და აგრეთვე ცოტა ამაზედ ადრე დაბეჭდილს „ნამყალას“-ზე. ამ ლექსებს ხელს აწერს „იაჭუაძე“ და ეჭვი იბადება რომ ლექსები ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს. გამომცემელი სთხოვს ყველას, ვინც კი რამე იცის ამ ლექსების და ფსევდონომის შესახებ, აცნობოს გამომცემელს.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება დღეს, დილის 11 საათზე მოხდება ქართულს თეატრში.

✦ **ნებადართული პიესა:** ნამესტნიკის მოადგილემ ნება დართო, კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ მ. მეზუროვის სამ მოქმედებიანი დრამა „ჩვიდმეტის წლის ყმაწვილი“.

✦ **საჰიდრო-ელექტრონო სადგური.** სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტს ინგლისელ სტუარტისათვის მიუცია კონცესია იმ პირობებით, რაიც კავკასიის სანამესტნიკოში შეუმუშავებიათ. ამის და მიხედვით სტუარტს კავკასიაში უნდა მიეცეს სახაზინო მიწა იჯარით, სადაც უნდა ააგოს საჰიდრო-ელექტრონო სადგური. (პეტ. დ. ს.)

✦ თვრამეტ ივნისს ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა,** რომელიც აქამდე საზოგადოების კანცელარიაში იყო მოთავსებული, ქართულს გიმნაზიაში გადაიტანეს, სადაც ამ ჟამად საზოგადოების მუზეუმი ინახება.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრება შემოდგომისთვის იქნება მოწვეული. ამ ჟამად საზოგადოების გამგეობას მოლაპარაკება აქვს მსახიობებთან მომავალ სეზონისთვის დასის შესადგენად.

✦ **სახალხო სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის** წლიური კრება 15 ივნისს მოხდა ბ. მდივანის თავმჯდომარეობით. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წრის წარსულის სეზონის მოქმედების ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ წრეს გაუმართავს 45 წარმოდგენა. შემოსავალი ჰქონია 6,194 მან. ხარჯი 5,913 მან.

45 კაპ., კასაში დარჩენია 280 მან. 70 კ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 5,270 მან., დამტკიცებულ იქმნა. რეჟისორს მომავალს სეზონში მიეცემა 900 მან., მის თანაშემწეს 400 მან. დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებად აირჩიეს: კონსტ. ჯაფარიძე, ა. ბეზურიშვილი, ეფემია მესხი, ვასილ რაქვიაშვილი, სამსონ ტორო[?]შელიძე, გრიგოლ აბელაშვილი, ნიკოლოზ ახმეტელაშვილი, დიმიტ. ბაქრაძე და სერგო თავდიშვილი. ამას გარდა გამგეობაში სცენის მოყვარულთა მხრივ ორი წარმომადგენელი აირჩიეს: სოფიო რომანიშვილი-დგებუაძისა და გიორგი ჯაბაური. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ისიდორე ჭანტურია, ნ. ჭამკვატაძე და ვასილ ხახანაშვილი.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრებები მომავალ შემოდგომამდე შესწყდა. ზაფხულის შემდეგ პირველი კრება 10 აგვისტოს გაიმართება.

✦ **სამღვდელოების შორის.** გუშინ, დილის 10 საათზე, დედათა საეპარქიო სასწავლებელში, იმ კომისიის კრებები დაიწყო, რომელიც შარშან საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების კრებამ აირჩია. კომისიის კრებებს დეკანოზი მახათაძე თავჯდომარეობს. კომისიამ უნდა გამოარკვიოს ის საკითხები, რომელიც სამღვდელოების კრებას, დროს უქონლობისა გამო, განუხილველი დარჩა. გუშინდელი კრება ნაშუადღევს დასრულდა. გაგრძელება ხვალ, 21 ივნისს, მოხდება.

✦ **ქალაქის საბჭოს** უკანასკნელმა კრებამ დაადგინა, 1) ჩაიბაროს ქ-ნ სულხანოვის სახლი და წელიწადში სიცოცხლის დროს ორასი თუმანი აძლიოს იმ პირობით, რომ ქ-ნ სულხანოვის გარდაცვალების შემდეგ სახლი ქალაქს საკუთრებად დარჩეს, 2) იყიდოს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე სტროევის ადგილი სკოლის შენობის ასაგებად, თუ სტროევი თვითეულ ოთხკუთხ საჟენს 40 მან. დაუთმობს და 3) უარჰყოს გამგეობის მოხსენება პოლიცმეისტრის სამმართველოს გაფართოვების შესახებ.

## სასწავლებლებში

✦ **ა. ს. მატინოვის სახელობის საქალაქო სკოლა.** განსვენებულ ა. ს. მატინოვის მიერ დატოვებულ თანხიდან ქალაქის საბჭომ 70,000 მ. გამოჰყო. ამ ფულით შლიტტელისეულ მიწაზე სკოლა უნდა აავოს და სკოლას მატინოვის სახელი უწოდოს.

## სასამართლო.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს** თავმჯდომარე ნ. ა. ტოლპიგო და პრალმბდებელი ა. ა. გრომოვი ზაქათალიდან ტფილისს დაბრუნდნენ.

✦ **„წითელი ოთახი“-ს საქმე.** საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა რუსანოვმა თავის კამერაში გაიწვია ჟურნალისტი ლ. ყიფიანი და მთელი მასალა ჩააბარა „წითელი ოთახი“-ს საქმის გამოძიების შესახებ. როგორც თავის დროზე ვწერდით, ლ. ყიფიანს სამართალში აძლევენ „წითელ ოთახის“ შესახებ გაზეთში წერილების დაბეჭდვისათვის.

## ქუთაისი.

✦ **ქუთაისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის** კურსი წელს გაათავა და სიმწიფის მოწმობა მიიღო 23 კაცმა; კ. აბულაძემ, ბ. არეშიძემ, ა. ახვლედიანმა, ა. ახვლედიანმა, ნ. ახვლედიანმა, ს. ბარათაშვილმა, კ. გამსახურდიამ, გ. გელოვანმა, ზ. გოცირიძემ, ა. გრიგოლიამ, ნ. ჟღენტმა, ს. იაშვილმა, მ. კვინიხიძემ, პ. კვირკველიამ, ნ. მდივანმა, ტ. როინიშვილმა, ი. თოფურიძემ, ნ. უზნაძემ, ა. ცაგურიამ, ს. წერეთელმა, გ. ჭიჭინაძემ, ს. ჩხიკვაძემ და მ. შოთაძემ.

✦ **წელს ქუთაისის რეალური სასწავლებელი გაათავეს შემდეგმა პირებმა:** ნ. ავალიშვილმა, ნ. ამირაგოვმა, ბ. ანისიმოვმა, პ. ბალათურიამ, ს. ბეგიშვილმა, ნ. ბენიანცმა, ა. ბელოვმა, ვ. ბელოდედოვმა, ი. ვაშაკიძემ, შ. გაფრინდაშვილმა, ს. გახარიამ, მ. გლადკოვმა, მ. გორგიძემ, კ. ჯუღელმა, ო. დოლიძემ, ა. იობიძემ, ვ. კვიტაშვილმა, ა. კოპაძემ, ს. ლეჟავამ, ბ. ლეონტიევმა, ი. მამალაძემ, ს. მახვილაძემ, ისხაკხაიმ მინოვიჩმა, ი. ნანეიშვილმა, რ. ნიჟარაძემ, მ. პატარიძემ, შიმშონ რიჟინაშვილმა, ი. სალაძემ, ვ. სკორუპსკიმ, გ. ტაბატაძემ, ვ. თევზაძემ, გ. ფონარჯიანცმა, შ. ხელაძემ, ვ. წერეთელმა, ი. ცქიტიშვილმა, შ. ჭანკოტაძემ, ტ. ჩუბინაძემ, პ. ჩხენკელმა, მ. შავდიამ, მ. შევჩენკომ, ნ. შიმკევიჩმა, შ. იაკობიშვილმა, კ. იაშვილმა, ა. კუზმინმა, ვ. ნარსიამ, ვ. ნიჟარაძემ, რ. მჭედლიანმა და კ. ოქროპირიძემ.—სულ 49 კაცია. ამათში რვა რუსია, 3 სომეხი, 3 ქართველი ებრაელი და 1 პოლონელი, დანარჩენი კი ქართველია.

ამას გარდა წელს ქუთ. პედაგოგიური კურსები გაათავა 18 კაცმა. მათში ერთი რუსია (ვლადიმერ კოჟოვი), ერთი სომეხი (სტეფან კაროიანცი), ოთხი ბერძენი: (ივანე ხალაიჩევი, თეოფილე ამირიდი, საკვა შეთხოვი და ალ. ხონდრამოტოვი), დანარჩენი კი—(ვ. მიქიაშვილი, ვ. შეშელიძე, ი. ბეჟანეიშვილი, კ. ანდრიაძე, ი. გოგოლაშვილი, ა. მელიქიძე, ერემია ძოწენიძე. კ. ქუთელია, ნ. კაკუბაძე, კ. წივწივაძე, ს. ენუქიძე და ა. ლაბაძე) ყველა ქართველია. („კოლხ.“).

## ფოთი.

✦ **ი. გრიშაშვილის საღამო,** რომელიც უნდა გამართულიყო 9 ივნისს და რომელიც გადაიდო ი. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო, სექტემბრამდე აღარ გაიმართება.

# ქ. შ. წ. კ. გ. ს. წლიური კრება

18 ივნისის სხდომა.

კრება $7^1/_2$ ს. გაიხსნა. წინანდელი სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ, კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შარშანდელი კრების დავალებათა ასრულების შესახებ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ წევრთა რიცხვის შემცირების მიზეზის შესახებ. გამგეობის მოხსენებიდან აშკარად სჩანდა, რომ წევრთა რიცხვს 1908 წლ. არა თუ უკლია, უმატნია კიდეც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. მესხიშვილმა, ხართიშვილმა, ირ. რამიშვილმა, ივ. რატიშვილმა გრ რცხილაძემ და სხვ.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ამ საკითხის გამოკვლევა და საწევრო გადასახადის შემცირების საქმე მიენდოს იმ კომისიას, რომელიც წარსულ სხდომაზე იყო არჩეული და რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს საზოგადოების რეორგანიზაციის საკითხი.

შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, რომელიც თითქმის უცვლელად დაამტკიცა.

კრების დასასრულ თავჯდომარემ კრებას გააცნო იმ კომისიის მუშაობის შედეგი, რომელიც არჩეული იყო ილიას ძეგლის ნაკლთა შესასწავლად და გამოსარკვევად.

კომისიას დაუთვალიერებია ბ. ნიკოლაძის მიერ შექმნილი ქანდაკება და დამაკმაყოფილებლად უცვნია იგი, ხოლო რაც შეეხება ძეგლის საარქიტექტურო ნაწილს, კომისიას უნახავს მასში ნაკლი, რომლის გასწორება საჭიროცაა და შესაძლებელიც, ამიტომ კომისიას ოთხი პირისათვის (მხატვ. გრინევსკი, ინჟ. კალგინი, ინჟ. მამრაძე და ხუროთმოძღ. კლდიაშვილი) დაუვალებია ხსენებული ნაკლის შესწორება.

კომისია ამასთანავე იმედოვნებს, რომ ქართველი ერი თვით ქალაქ ტფილისშიაც დაუდგავს დიდებულ ილიას თავის შესაფერ ძეგლს.

კრება 12 საათზე სრულიად დასრულდა

# მოლიპულ გზაზე

(თავად-აზნაურთა საქმეების გამო).

3.

ასეთი იყო იდეიური შინაარსი იმ ოპოზიციისა, რომელმაც თავად-აზნაურთა კრებებზე გაიმარჯვა. მან ხელში ჩაიგდო ძალა, ამის შემდეგ იგი იქმნება მოქმედი და თავად-აზნაურთა საქმეების მიმდინარეობაში საზოგადოების წინაშე მან უნდა აგოს პასუხი. მაშასადამე, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი უნდა გახდნენ ის ჩვენი თანამოაზრენიც, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ოპოზიციაში. თუ დღეს ტაქტიკურის მოსაზრებით მრავალი პრინციპიალური საკითხი ისე არ გადასწყვიტეს, როგორც საჭიროდ მიაჩნდათ, ხვალ, უფლება მოსილნი, უეჭველია ფართოდ გაშლიან თავიანთ „დემოკრატიულ“ გულს და მრავალ ისეთს ცვლილებას შეიტანენ ბიუჯეტის განაწილებაში, რანაირიც წინად შეუძლებელი ხდებოდა. იმედია პროგიმნაზიების საქმე მერმის სულ სხვანაირს მიმართულებას მიიღებს და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ვეღარა ვნახავთ იმ სუბსიდიებს, რომელთა წინააღმდეგაც რამდენიმე წელიწადია იბრძვის ოპოზიცია. იმედია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებისთვის ისეთი სამარცხვინო დახმარება არ გადაიდება. ერთის სიტყვით. ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არსებითი ცვლილება იქნება შეტანილი იდეიურის მხრით ბიუჯეტის განაწილებაში და მტკიცე ეროვნული ხასიათი მიეცემა, ნაცვლად ძველის, რეაქციონურისა და ანტი ეროვნულისა. „იდეიურ“ ოპოზიციის გამარჯვება ნებას გვაძლევს ეს იმედებივი ქონიოთ ჲ თუ იმედები გაგვიცრუვდა, მაშინ საბუთი გვექნება დამნაშავის სკამზე დავსვათ არა მარტო ოპოზიცია, არამედ ის ჩვენი თანამოაზრენიც, რომელნიც ოპოზიციაში შედიოდნენ. ვამბობთ ამას არა იმიტომ, რომ წინდაწინვე დამარცხება ვუწინასწარმეტყველოთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ნათლად გამოვარკვიოთ, რა პასუხისმგებლობას აკისრებს მათ შექმნილი მდგომარეობა; ჩვენს თანამოაზრეებსაც უნდა გათვალისწინებული ჰქონდეთ, რომ რასაც ვერ მოვთხოვთ ძალა მოკლებულ ოპოზიციას იმას მოვთხოვთ იმავ ოპოზიციას, მაშინ, როდესაც იგი პოზიციად გადაიქცევა და ძალას, უფლებას ხელში ჩაიგდებს.

ჩვენ საზოგადო თვალსაზრისით განვიხილეთ თავად-აზნაურთა საქმეები და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი თანამოაზრესათვის შეუძლებელია თავად აზნაურთა საქმეებში ოპოზიციის შედგენა. ეს საკითხი მუდამ საჭირ-ბოროტო საკითხად იყო გადაქცეული და მუდამ, როდესაც კი თავს იჩენდა ხოლმე აზრთა ხეტიალი, იბადებოდა კონფლიქტი შემუშავებულ აზროვნებისა და პრაქტიკულ მოქმედების დროს. დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობს აზრთა ამ გვარ ხეტიალს. რეაქციით მუხრუჭმოჭერილი აზროვნება ბნელდება, იბადება ცნებათა არევ-დარევა, დავიწყებას ეძლევა ძველი პრინციპები. მხოლოდ ამისთანა დროს შეიძლება ერთს ტაფაში მოქცევა ისეთს ათას გვარ რწმენის ხალხისა, რანაირიც ოპოზიციაში იყო. მაგრამ ჩვენ კიდევ არ დაგვიკარგავს რწმენა, რომ ჩვენი მიზანი უფრო ფართოა და ღრმა. თავად-აზნაურთა ვიწრო წოდებრივი საქმიანობა მიკროსკოპიული ნაწილია იმ დიდ მიზნისა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, და ამიტომ დიდს საქმეს ზვარაკად ვერ შევსწირავთ თავად-აზნაურთა საქმეებს. გვეუბნებიან, თავად-აზნაურთა ჯიბეში დიდძალი ფული ტრიალებსო. ნახევარი საუკუნეა გვესმის ეს ღაღადი: არც ჩვენა ვართ იმდენად გაუგებარნი. რომ ვერ დავაფასოთ ეს გარემოება. მაგრამ ეს კიდევ ნებას არ გვაძლევს მთელი ჩვენი მომავალი თავად-აზნაურთა ქონებას დაუკავშიროთ. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგნი ვყოფილვართ თავად-აზნაურთა ჯიბის მნიშვნელობის ასეთის გაზვიადებისა. იყო დრო, როდესაც ასე ფიქრობდნენ ის ჩვენი თანამოაზრენიც, რომელნიც დღეს ოპოზიციაში შედიან, მაგრამ დღეს რეაქციაა, და რეაქციას კი ის თვისება აქვს, რომ ძირიან-ფესვიანად არყევს როგორც სულიერ განწყობილებას, ისე აზროვნებას. გზა, რომელიც ზოგიერთმა ჩვენმა თანამოაზრეებმა აირჩიეს, ჩვენ მიგვაჩნია მოლიპულ გზად. იგი ლოღიკურის აუცილებლობით მიგვიყვანს უფსკრულამდე და იდეიურ სიკვდილამდე, თუ დროზე არ შევჩერდით და მთელის ჩვენის ძალ-ღონით არ შევებრძოლეთ ტენდენციას სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა იდეიურ გათქვეფვისას, რომელმაც განსაკუთრებულის სიძლიერით თავად-აზნაურთა საქმეებში იჩინა თავი.

ასეთია ჩვენი შეხედულება თავად-აზნაურთა საქმეებზე, თუ მას ჩვენი საზოგადო თვალსაზრისით შევხედავთ. მაგრამ შესაძლებელია იმავ მოვლენათა **შედარებითი** შეფასება. შედარებითი საზომით თუ შევხედავთ ყველა იმას, რაც თავად-აზნაურთა კრებებზე მოხდა, იძულებული გავხდებით ვაღიაროთ, რომ ბევრი უარყოფითი თვისებანი ახლაც და როგორც „ოპოზიცია“-ს ისე „პოზიციას“. პირუთვნელ მემატიანეს მოვალეობაა ყველას თავისი ხვედრი აკუთვნოს. ჩვენ საუბედუროდ ასეთს პირუთვნელ მსჯავრს ვერსადა ვხედავთ, ბევრთა წარმოდგენით, საკმარისია ოპოზიციონერი გახდე, რომ პროგრესისტობის სახელიც დაისაკუთრო. მე პირადად ის ღრმა შთაბეჭდილება გამოვიტანე კრებებიდან, რომ მრავალი ოპოზიციონერთაგანი უფრო რეაქციონერია, ვიდრე თვით მ. ვ. მაჩაბელი და გაცილებით უფრო ნაკლები გულ-შემატკივარი საზოგადო საქმეებისა, ვიდრე ბაგრატიონ-დავითიშვილი. მ. ჭავჭავაძემ რომ შუბლზე უზარმაზარი წარწერა გაიკეთოს პროგრესისტობისა და მამულიშვილობისა, მაინც ვერ დამარწმუნებს, რომ იგი უფრო კარგი მამულიშვილი [illegible] ვიდრე ის ჯგუფი, რომელსაც ებრძოდა. ესე [illegible] ჯიბი, მაინც ვერ დამარწმუნებს, რომ იგი რითიმე განსხვავდება იმ ჯგუფიდან, რომელსაც ებრძოდა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, მაჩაბელი და ეს პირნი ერთად უნდა ისხდნენ და თუ ერთად არა სხედან, ეს პრინციპიალურ უთანხმოებათ კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმით, რომ მათ შორის, როგორც იტყვიან, შავმა კატამ გაირბინა. ასეთისავე შედარებითი თვალსაზრისით შევაფასეთ კანდიდატურა სუმბათაშვილისაც. თუ ოპოზიციას სურდა იდეიური ნასახი მაინც შეენარჩუნებინა, წინამძღოლის კანდიდატად უნდა დაესახელებინა არა ისეთი ადამიანი, რომელმაც ღამის ორს საათზე გადასწყვიტა საზოგადო მოღვაწეობა! არამედ ისეთი ადამიანი, რომელსაც იცნობს ჩვენი საზოგადოება როგორც ქართულ საქმეთა გულ-შემატკივარს. ასეთი კანდიდატურის წამოყენება მეტს იდეიურს შინაარს მისცემდა ბრძოლას. მაგრამ ოპოზიციამ თავის გულის ყური მიაქცია მხოლოდ ისეთს კანდიდატს, რომლის გარშემოც მრავალი საარჩევნო კომბინაცია შეიძლებოდა მომხდარიყო. ვინც უნდა იყოს, ოღონდ კი ბაგრატიონ-დავითიშვილი არა, აი მთავარი სულიერი განწყობილება ეგრედ წოდებულ ოპოზიციისა. არც ეს მიგვაჩნია ჩვენ ისეთს ნაბიჯად, რომელიც „ოპოზიციის“ პრინციპიალობას ამტკიცებდეს. ოპოზიციას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, იგი რომ მდიდარი ყოფილიყო თავისი იდეიური შინაარსით და დაპირისპირებოდა დეპუტატთა საკრებულოს როგორც ასეთი. ვერც კრებებზე და ვერც კანდიდატის არჩევანში ჩვენ ეს ვერ დავინახეთ. დეპუტატთა საკრებულოს ძველ მესვეურთა მოქმედების დამცველნი ჩვენ არასოდეს არა ვყოფილვართ, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ გვაძლევს ყოველს მოვლენას თავისი სახელი არ ვუწოდოთ და პრინციპიალობა და პროგრესისტობა დავინახოთ იქ, სადაც პირადის გაბოროტების მეტი არაფერი ყოფილა.

მოკლედ ჩვენი აზრი ასეთია. ჩვენს თანამოაზრეს, თუ უნდა ლოღიკურს აბსურდამდე არ მივიდეს, ვერ შეუძლიან ოპოზიცია შეჰქმნას თავად-აზნაურობაში. გარდა ამისა, ის ჯგუფი, რომელიც თავის თავს ოპოზიციას უძახის ოდნავადაც არ გამოჰხატავს ჩვენს აზრებს. პირ-იქით, იგი ჩვენი ისეთივე მოწინააღმდეგე ჯგუფია, რაინაირიც დამარცხებული. ამიტომ ჩვენს თანამოაზრეებს ვერ შეუძლიანთ მათთან ერთად იკისრონ პასუხისმგებლობა. გათქვეფა ჩვენი

# წარსულიდან

ჩემი მოგონებანი.

2

1888—1895 წ.წ.

(გაგრძელება *)

III.

ერთ თვეს განცხრომაში ვიყავ: დავხეტიალობდი სოფლად თუ ქუთაისში; ვისვენებდი ეტაპისა და ციხეების შემდეგ. შემოდგომის დაწყებისას კი შევუდექ სამუშაოს ძებნას. მაგრამ ეხლაც თურმე ჩემი ბედი თუ უბედობა სხვას მიმზადებდა...

ენკენისთვის ერთ მშვენიერ დილას გამომეცხადა უბნის ზედამხედველი და პოლიციაში მიმიწვია. კარგს არას მოასწავებდა ეს უდროო დროს დაბარება, მაგრამ რა ამბავი იყო, ვერ მივხდი. დანიშნულ დროს მივედი და ვნახე, რომ ჩემს გარდა კიდევ ოცზე მეტი ახალგაზდა, ზოგი ნაცნობი, ზოგიც უცნობი, ყოფილიყო დაბარებული. შევედით პოლიცმეისტრის კაბინეთში და იქ გამოგვიცხადა, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ხვალვე ფოთში უნდა წახვიდეთ, სადაც ერთ თვეს დაჰყოფთ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაო. მიზეზი—უმაღლეს სტუმართა მობრძანება ამიერ-კავკასიაში, რის გამო ნაბრძანებია, ყველა პოლიტიკურად არა საიმედონი ქუთაისის გუბერნიიდან ფოთში იქმნან გაგზავნილნიო.

მეორე დღეს, დანიშნულ საათზე, ყველანი შევიკრიბენით სადგურზედ, პოლიციის ბოქაულის თანხლებით გავემგზავრეთ ფოთისაკენ. ფოთში საღამოს ჩავედით. იქ უკვე გაეგოთ ჩვენი ჩამოსვლის ამბავი და სადგური გაჭედილი იყო ცნობის მოყვარე საზოგადოებით. წინ მოგვეგება პოლიცმეისტერი ოგიევსკი, რომელსაც ბოქაულმა ჩააბარა ჩვენი თავი და სათანადო ქაღალდები. ოგიევსკიმ გამოგვიცხადა, აკრძალული გაქვთ ქალაქიდან გასვლა, ხოლო ქალაქში თავისუფლად შეგიძლიათ ცხოვრება, ბინა „სახაზინო“ გექნებათ საერთოდ და სასმელ-საჭმელისათვის დღეში თითო მანეთი მოგეცემათო... წავედით „სახაზინო ბინაზე“. ეს იყო რაღაც ძველი შენობა, რომელშიაც წინად კლუბი ყოფილიყო მოთავსებული. იქ უკვე დაგვხდა ოცამდე ამხანაგი, ბათუმიდან და რკინის გზის სხვა და სხვა სადგურებიდან გამოგზავნილი. უპეტესობა რუსები იყვნენ, ახალგაზდობა თუ უკვე „ნაცამბირალი“ ძველი რადიკალები, რომელნიც უმთავრესად რკინის გზაზე მსახურებდნენ. „სახაზინო ბინა“ კარგა მოზდილი აღმოჩნდა და შესდგებოდა ერთის დარბაზისა და რამდენისამე ოთახისაგან. უპეტესობა აქ მოვთავსდით, ზოგს კერძო ბინაზე ცხოვრების ნება მისცეს. გვემსახურებოდნენ პოლიციელნი; თითო მანათი დღეში კარგად გვყოფნიდა იმ დროში.

პირველ საღამოსვე საინტერესო ინციდენტი მოხდა. დარბაზში დიდ მაგიდას მოვუსხედით და ჩაის შევექეცით; ერთმანეთს ვეცნობოდით, ვბაასობდით. უცბად კარი გაიღო და გამოჩნდა პოლიციელი ჩემოდანით ხელში.

— აი კიდევ ერთი ამხანაგი მოგემატათო! სთქვა მან, ჩემოდანი კუთხეში დადგა და გავიდა. დარბაზში შემოვიდა მაღალი ტანის, ძალიან გამხდარი, შავგრემანი, შუახნის კაცი. თავი დაგვიკრა საერთოდ და გამოგვიცხადა თავისი ვინაობა:

— ალექსანდროვი!

ამის შემდეგ მაგიდას ბოლოში თავისუფალი სკამი დაიჭირა. სხვათა შორის ბათუმიდან იყო გამოგზავნილი ვინმე გურსკი (იმ დროს სტამბის პატრონი), ოდესღაც რადიკალი და დასჯილი (შემდეგში კი, თუ არა ვცდები, ის ცნობილი პალმის ამხანაგი და მეგობარი გახდა). აი ეს გურსკი უცბად ადგილიდან წამოხტა, მიუახლოვდა ახლად მოსულს, ჩააჩერდა და მოულოდნელად შესძახა:

— თქვენ მერკულოვი ხართ და არა ალექსანდროვი!

მერკულოვის ხსენებაზე ყველას ჟრუანტელმა დაგვიარა ტანში: ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ოდესღაც გამოჩენილი რევოლუციონერი მერკულოვი, შემდეგ არა ნაკლებ გამოჩენილი პროვოკატორი შეიქნა, რომელმაც გასცა ვერა ფიგნერი და მთელი მისი წრე... ყველა ფეხზე წამოდგა, ადგა ახლად მოსულიც და რაღაც წაიბუტბუტა.

— გაეთრიეთ აქედან, თქვენ მერკულოვი ხართ!—ყვიროდა გურსკი...

ვითომ ალექსანდროვმა ჩაღუნა თავი და კარებისკენ მოჰკურცხლა. პატარა ხანს შემდეგ შემოვიდა იგივე პოლიციელი და მისი ჩემოდანი წაიღო. ამ საღამოს შემდეგ მერკულოვ-ალექსანდროვი აღარ გვინახავს ფოთში და ჩვენთვის საიდუმლოდ დარჩა: განგებ იყო გამოგზავნილი თვალ ყურის სადევნელად თუ მმართველობას ისიც საეჭვოდ მიაჩნდა მიუხედავად დამსახურებისა, და გამოგზავნა, როგორც არაკეთილ საიმედო...

საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს ერთი თვე ფოთში სრულიად თავისუფლად ვიყავით, თვალყურსაც არ გვადევნებდნენ მაინცა და მაინც, ასე რომ ვინმეს თუ სდომებოდა, ადვილად გაიპარებოდა. რასაკვირველია, მთელი ეს გამოგზავნა უბრალო ფორმა იყო, ჩვეულებრივი უაზრობა „ოხრანკისა“, რომელსაც ნამდვილი დაცვა ვერასოდეს აუსრულებია რიგიანად და ტყუილა-უბრალოდ აწიოკება კი ჩვეულებად გადაჰქცევია.

ერთი რამ უნდა აღვნიშნო კიდევ ამ ფოთის ეპიზოდისა. ადგილობრივმა საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა მაინცა და მაინცა საკმაო მოქალაქობრივი გამბედაობა. ისე ეშინოდათ ჩვენი—ახლოც არავინ გვეკარებოდა. ზოგს ძველი ნაცნობები ჰყავდა, ისინიც გვერდს უხვევდნენ შორიდან. ორიოდე ქალმა გაჰბედა ჩვენთან ურთიერთობა-ნაცნობობა და, რასაკვირველია, ამით არაფერი დაჰშავებია, სხვები კი შიშით ძრწოდნენ და ამ ქალებსაც აშინებდნენ... ამ სასაცილო ამბავს არ გავიხსენებდი, რომ ფოთელების შიში გადამეტებული არ ყოფილიყო და ზოგიერთ ვაჟბატონის ცილის წამების წინააღმდეგ მაინც აღემაღლებინათ ხმა. იმ დროს ფოთის მომრიგებელ მოსამართლედ იყო ვინმე პიოტუხი; ეს ბატონი და მასთან ორიოდე სხვა მოხელე თურმე ხმა-მაღლა ავრცელებდნენ ჩვენზე სხვა და სხვა ჭორებს: გამოგზავნილები ლოთობენ, სკანდალებს ახდენენო და სხვა. ამას კლუბში თითქმის ყოველდღე იმეორებდნენ თურმე და მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცოდა, ეს ნამდვილი სიცრუე იყო, ჩვენ წყნარად და მშვიდობიანად ვცხოვრობდით და ერთხელაც არავის არავითარი სკანდალი არ მოუხდენია და მთვრალი არავინ ყოფილა, მიუხედავად ამისა ვერავის გაებედნა იმ დროინდელი„ ჭეშმარიტ პატრიოტების“ წინააღმდეგ კრინტი დაეძრა იმის შიშით, რომ „პოლიტიკურების“ გამოსარჩლებისათვის ისინიც არ ჩაერიცხათ საეჭვო ადამიანებად! ჩვენ მხოლოდ ფოთიდან წასვლისას, ჩუმად გადმოგვცეს ეს ამბავი...

IV.

დავბრუნდი თუ არა ქუთაისში, დ. ა. ლორთქიფანიძემ მირჩია: სათავად-აზნაურო ბანკში დამფასებლის ადგილი იცლება და თხოვნა შეიტანე ზედამხედველ კომიტეტშიო (ქუთაისის ბანკში დამფასებლებს საზოგადო კრება კი არ ირჩევს, არამედ შეერთებული სხდომა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისა). პატარა ხნის ყოყმანს შემდეგ ეს წინადადება მივიღე, თხოვნა წარვადგინე და მართლაც არჩეული ვიქმენ დამფასებელ კომისიის წევრად. ამ ჩემს „პირველ გამოსვლას“ ცხოვრებაში, ჩემდა სამწუხაროდ, სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელი აურზაური და მახინჯი ისტორია მოჰყვა, რომელმაც დიდის ხნით დასტოვა ჩემს სულსა და გულში მწარე კვალი პირველის, ასე ვსთქვათ, საზოგადოებრივის სასოწარკვეთილებისა. ყემ წინა მოადგილეთ იყო ერთი მეგრელი თავადიშვილი, რომლის არჩევა ზედამხ. კომიტეტმა აღარ მოისურვა; მოხუცებულია, მუშაობა აღარ შეუძლიაო. ნათესავებმა და მახლობლებმა იწყინეს მისი გადაყენება და ასტეხეს აურ-ზაური: როგორ თუ ძველი დამსახურებული დამფასებელი გააშავეს და ვიღაც „ბავშვი“ აირჩიესო?! ამას „პროვინციალური პატრიოტიზმიც“ მოაყოლეს: ერთი მეგრელი იყო კომისიაში და იმერლებმა ისიც გამოაძევესო! მალე აღმოაჩინეს, რომ არც მე და არც მამა ჩემი ბანკის დამფუძნებელთა სიაში არ ვეწერეთ. შეაგროვეს ხმები და ზედამხ. კომიტეტს მოსთხოვეს საგანგებო კრების მოწვევა „უკანონო არჩევნების“ გასაბათილებლად.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ მომიწამლავდა გულსა და სულს ეს განგაში მე, გუშინდელ სტუდენტს, რომელიც შორს და ძალიან შორს ვიდექ ცხოვრების ყოველ ამგვარ დუხჭირ პროზისაგან; მაშინვე გადავწყვიტე უარის თქმა ადგილზე, მაგრამ ზედამხ. კომიტეტის წევრებმა ამის გაგონებაც არ მოისურვეს: საქმე ჩვენ შეგვეხება და არა თქვენაო და როგორ შეიძლება უაზრო მოთხოვნილებას დაუთმოთო? ამით თქვენ გარყვნილების გამეფებას შეუწყობთ ხელს საზოგადო საქმეშიო და სხვა. მეტი ღონე არ იყო, უნდა დავმორჩილდებოდი: le vin est tiré il faut boire!

განკარგულება მოახდინეს, საგუბერნიო სამმართველოს არხივში მოეძებნათ საბუთი, რომ მამა-ჩემს გლეხები ჰყავდა და ამიტომ ისიც უნდა ყოფილიყო ბანკის დამფუძნებელთაგანიო. დიდის ძებნის შემდეგ ამოჩხრიკეს ქაღალდი, რომლიდანაც ჩნდა, რომ მამა-ჩემსა და მის უფროს ძმას **ერთი**, გლეხი ჰყოლიათ!.. დადგა საგანგებო კრების დღე. ბანკის საკმაოდ დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით: წინანდელ დამფასებლის მოსარჩლეთ მრავალი მეგრელი თავად-აზნაურობა წამოეყვანათ (მაშინ ჩვენს ბანკებში რწმუნებულთა ინსტიტუტი არ იყო ჯერ)! რასაკვირველია, გუბერნიის სხვა ადგილებიდან ამისთანა მცირე შემთხვევისათვის არავინ ჩამოვიდოდა და ამიტომ მეგრელების მეტი თითქმის არავინ იყო, აქა-იქ სჩანდა მხოლოდ ათიოდ-ოციოდე ქუთათელი ინტელიგენტი, რომელნიც მოსულიყვნენ ზედამხ. კომიტეტის და-

*) იხ. „სახ გაზ“. № 6 7

თანამოაზრეებისა ჩვენს იდეიურ მოწინააღმდეგებთან პირველი ნაბიჯია იმ გზისკენ, რომელიც იდეიურ სიკოტრემდე მიგვიყვანს. მე ეს დიდს დანაშაულობად მიმაჩნია ჩვენი მომავალის წინაშე, და ამიტომაც ვსწერ. და მომავალმა გაგვასამართლოს და დაგვიმტკიცოს, ვინ უფრო სწორე ნიადაგზე იდგა, ის, ვინც დღეს ქავქაძეს და კომპ. უდგას გვერდით, თუ ჩვენ, რომელნიც კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არაფერი საერთო არა გვაქვს იმ პირებთან ისევე, როგორც დეპუტატთა საკრებულოს ძველ მესვეურებთან.

**არ. ჯ—შვილი.**

# გიორგი ერისთავის წერილი.

დიმიტრი ყიფიანის შვილის-შვილმა გადმოგვცა ქვემოდ მოყვანილი წერილი გიორგი ერისთავისა. წერილს დიმიტრი ყიფიანის ხელით ზევიდან აწერია: „კნ. გიორგი რომანიჩისაგან. 15 ნოემბ. 1883“. აი თვით წერილიც.

გრამატიკა შენგან შეთხზული ჩემგან დაუვიწყარო ძველო გულითადო მეგობარო დიმიტრი ივანიჩ მომივიდა. ავადმყოფობის გამო და სხვა და სხვა შემთხვევამ დამაგდო აქამდის ვერ გიძღვნ მადლობა დაუვიწყრობისთვის. ბევრჯელ კეთილად და ერთგულად შრომა გაგიწევია და გიზრუნავს ქვეყნის კეთილ-მდგომარეობისთვის. ამგვარი მოქმედება დასავიწყარი არ არის არავისგან, მეტადრე მათთვის ვისაც ესმის თავის მოვალეობა ღუთის, ხელმწიფის, ხალხის და სახლობის წინაშე. ამისთვის ჩვენს ათონელთ წმ. მამებს უჩვენებიათ გონების გასანათლებლა—რომელიც ასწავებს მოვალეობასა—მომენტი, როდესაც მაცხოვარი ჩადის იორდანეში და ყ-დ წ-ა სული გადმოაფენს ნათელს. გადმოუთარგმნიათ ნათლის ღებათ, ესე იგი ნათელის მიღება, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის გონების განათლებაში და ზნეობით ამაღლებაში.

მსურველი გულით და სულით დაუვიწყარო მეგობარო დიმიტრი ივანიჩ ყოვლის კეთილისა, ღმერთსა ვსთხოვ კიდევ მშვიდობით გვენახოს ერთმანეთი.

მარად ერთგული.

**გიორგი ერისთავი.**

12 ნოემბერს. 1883 წელს.
ქ. თბილისი.

# საპედაგოგიო გამოფენა პეტერბურგში.

(შემდეგი *)

ორკლასიანი სკოლის შენობასაც, საკლასო ოთახების გარდა, აქვს დიდი საზოგადო დერეფანი.

*) იხ. „სახ. გაზ.“. № 625

სამინისტრო სკოლების გეგმები ბევრად ჩამოუვარდება ამათ.

საშუალო სასწავლებლის შენობებისათვის მე ყურადღება არ მიმიქცევია. ბევრი ვეძებე ჩვენი ქართული გიმნაზიების შენობათა სურათები, მაგრამ ვერა ვნახე. ეტყობა ქართულმა გიმნაზიებმა მეტად ჩასთვალეს თავიანთ შენობის სურათები მაინც გაეგზავნათ გამოფენაზე, როცა ამ გამოფენაზე ერთმა შვეციის გიმნაზიამ თავის შენობის სურათების და გეგმის გარდა, გამოგზავნა ორი ქანდაკებათა კოპიო, რომელნიც სკოლის შესავალს ამშვენებენ. რა საჭიროა ჩვენთვის თავის გამოჩენა, ჩვენ ხომ ისეც გვიცნობენ!.. აი ც თუ წერა-კითხვის საზოგადოებას მიუღია მონაწილეობა გამოფენაზე. რა დიდი საქმე იყო, სხვას თუ ვერაფერს გამოგზავნიდა, თავისი უკანასკნელი წლის ანგარიში მაინც გამოეგზავნა. მხოლოდ ქართველთა გამომცემლობის ამხანაგობას გამოეგზავნა საბეჭდი შრიფტის ნიმუშები, რომლითაც სახელმძღვანელო წიგნები იბეჭდება. ისიც არ ვიცი, ამხანაგობას გამოუგზავნია, თუ ვინმე კერძო პირს.

ამავე განყოფილებაში აჩვენებენ სხვა და სხვა ცენტრალურ გათბობის სისტემას. პატარა სკოლის შენობებს ცენტრალური გათბობა არა სჭირიათ, დიდი შენობებისთვის კი აუცილებლად საჭიროა. ამის გარდა დიდი შენობებისათვის საჭიროა ჰაერის გასაწმენდი და მტვრის საწოწნავი მანქანები. სასწავლებლებში ძალიანა დგება მტვერი. მტვერი კი ჯანსაღობისთვის მავნებელია. მტვრის მოშორება ძნელია. კლასს დაჰგვიან, მტვერი მაღლა ავა, ჰაერში ტრიალებს და ჩვენ ვისუნთქავთ. გაივლის კლასში ვინმე, მაინც მტვერი დადგება. სკოლას მტვერი საქმეს უჭირებს. მტვერი საკლასო ოთახიდან როგორმე უნდა მოვიშოროთ, ან მანქანის საშუალებით გამოიწუწნოს, ან არა და კლესიიმისთანა საშუალებით უნდა დაიგავოს, რომ მტვერი არ დადგეს. ერთ ინჟენერს გამოუგონია მტვერის გამოსაწოწნი მანქანა. მანქანა მუშაობს ელექტრონის საშუალებით. კედლებში მილებია დატანებული. ამ მილებს შეუერთებენ რეზინის მილს, რომელსაც აბია მტვრის საწოწნავი. საწოწნავის ტარი უჭირავს კაცს და იატაკზე ატარებს. საწოწნავი იზიდავს მტვერს და მანქანის საშუალებით გარედ ჰფანტავს. ამის მოწყობა, რასაკვირველია, ძვირი ღირს და ყველა სკოლა ვერ შესძლებს; მაგრამ მეორე მტვრის საწინააღმდეგო საშუალებას კი ყველა შესძლებს. ამ საშუალებით იატაკი უნდა იწმინდოს მუდამ დღე, წმენდვა სულ უბრალოა და იმდენივე დრო სჭირდება, როგორც დაგვას. ამ საშუალებით მტვერი 70%-მდე მცირდება. სასურველია, რომ ჩვენ სკოლებშიაც სცადონ ეს საშუალება, არც თუ ისე ძვირი ღირს. ამ საშუალებას სახელად ჰქვიან „გარგოილ-ფლურიტ“ (Гаргойлъ-флуритъ). ამ ადრესით შეიძლება ყოველივე ცნობის გაგება და გარგოილის გამოწერა: Москва, Мясницкая 20, Акц. О-во Вакуумъ ойль компанія.

სკოლის შენობისათვის ფანჯრის მოწყობილობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ შვედურ ფირმას გამოფენაზე გამოუგზავნია არქიტექტორი ფლოდკვისტის სისტემის ჰიგიენური სასკოლო ფანჯარა. ფანჯარა ხისაა, ორ-სართულიანი. შესანიშნავი რაზა და კოჭაკები აქვს. ერთი რაზის წყალობით თუნდა მაღლა ნაწილს ფანჯარისა: გააღებ (ჰაერის გაწმენდის დროს) თუნდა დაბლა. ამნაირ ფანჯარას ჩვენებური დურგალიც კი გააკეთებს, თუ აუხსნით. რაზა-კოჭაკების და ფანჯრის გეგმის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: Сп. Троицкая ул., № 15, кв. 155. Архитектору Н. М. Нуммелину. ფასი არ გამიგია. მგონი რომ სხვა რაზა-კოჭებზედ ესენი ძვირი არ იქნებიან. გეგმას კი მუქთად უგზავნიან.

ამით გავათავებ პირველ განყოფილების მიმოხილვას. როდესაც ათვალიერებ სკოლების გეგმებს, ხედავ თუ რამდენსა სცდილობენ, რომ სკოლის შენობა იყოს აშენებული ჰიგიენურად, რათა იგი მოსწავლეთა ჯანმრთელობას არა ვნებდეს; ამავე დროს გებადება საკითხი, რა პირობებში იმყოფებოდასკოლების შენობანი ჩვენში, რამდენად არიან იგინი ჰიგიენური. გამოფენაზედ ჩვენი სკოლების შესახებ ვერაფერს იპოვი, მხოლოდ მცირედი ცნობანი მოიპოვებიან რუსეთის და კავკასიის სკოლათა შენობების შესახებ, საუბედუროდ დაბალ სასწავლებლების შენობათა შესახებ ვერაფერ ცნობებს ვერა ვპოულობთ. მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დაბალი სკოლების შენობათა 90% დე უვარგისია, ამისთანა დასკვნის უფლებას მაძლევს უბადრუკი მდგომარეობა საშუალო სასწავლებელთა შენობებისა, რომელთაც მთავრობა მუდამ მეტ ყურადღებას აქცევს. გამოფენაზე ოთხი ალბომია კარტოგრამებისა, რომელნიც ახასიათებენ საშუალო სკოლის შენობებს 1905—6 სამოსწავლო წელს ეს კარტოგრამები გვეუბნებიან, რომ საშუალო საწსავლებლების შენობების 70—80% უვარგისია. მათში არ არის საკმაო ჰაერი, სინათლე, ალაგი. მკითხველს არ დავღლი მრავალი ციფრების მოყვანით, მოვიყვან მხოლოდ ცნობებს კავკასიის შესახებ.

კავკასიაში 59% სავაჟო გიმნაზიების კლასები უვარგისია, რადგანაც თითო მოსწავლეზე ცოტა ჰაერი მოდის. რეალურ სასწავლებელში 70%-ია უვარგისი, საქალებო გიმნაზიაშიაც 70%, პროგიმნაზიებში 69%.

სინათლის მხრივ უვარგისია რეალურ სასწავლებლების კლასების 60%, საქალებო გიმნაზიების 45%, პროგიმნაზიების 76,5%, ხოლო სავაჟო გიმნაზიებისა კი 11,7%.

სასკოლო ცუდი შენობა გავლენას იქონიებს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, მაგრამ ამაზედ ქვევით. ეხლა კი გადავიდეთ გამოფენის მეორე განყოფილებაზე.

(დასასრული იქნება)

**გიორგი ბურჭულაძე.**

# ალბანელთა აჯანყება

(პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უსკიუბი.** აჯანყებულ ალბანელებს ინგლისისა და ოსმალეთის მთავრობისათვის მემორანდუმი გადაუციათ. მემორანდუმში აღნიშნავენ, ალბანელები ყოველთვის ერთგულნი ვიყავით ხონთქრისა და სამშობლოისათ. კონსტიტუციის მოპოვებაში ჩვენ პირველნი ვიყავით და აჯანყების დროშა ავაფრიალეთ მხოლოდ ალბანელთა ინტერესების დასაცავად, ჩვენ მარტო ეს კი არ გვაწუხებს, გვინდა ოსმალეთი გადავარჩინოთ დაღუპვასა, რასაც ახალგაზდა ოსმალოთა ვერაგული, დაწყევლილი პოლიტიკა უმზადებს და რომელიც ხელშეორედ შემოგვასევს მტერსა. გაუნათლებელ ხელმძღვანელთა წყალობით ქვეყანა დაღუპვის გზაზე დამდგარა. ალბანელებმა კარგად ვიცით, რომ სადაც გაუნათლებლობა და გაუთლელობაა, იქ თავისუფლებათა მოპოვება ლოღიკისა და ლაპარაკის მეოხებით შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ავჯანყდით. ალბანეთს რეფორმები ესაჭიროებათ.

მემორანდუმის ავტორები პროტესტს აცხადებენ ბრალდების გამო —სეპარატიზმს ჰქადაგებთო. შემდეგ მთავრობას უსაყვედურებენ—კონსტიტუცია დაარღვიეო და არჩევნებში ჩაერიეო. ბოლოს დასძენენ, ყველა ოტომანის ინტერესებს ვიცავთ და ჭეშმარიტი კონსტიტუცია უნდა აღვადგინოთო. მემორანდუმისათვის ხელი მოუწერია 20 ბელადს.

**სტამბოლი.** ალბანელთა ბელადებს ოსმალეთის მთავრობისათვის შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენია: სკოლებში სწავლება უნდა სწარმოებდეს ალბანურად: სინიდისის და სარწმუნოებათა თავისუფლება, ალბანური ენა ოფიციალ ენად უნდა გამოცხადდეს. კონსტიტუციას მეტი გარანტია უნდა ჰქონდეს. საჭიროა მმართველობის დეცენტრალიზაცია, ისეთი მოხელეების დანიშვნა, რომელთაც ალბანური ესმოდინებათ. გუბერნატორი განსაზღვრულ ვადით უნდა ინიშნებოდეს. ადგილობრივი შემოსავალი ადგილობრივისავე საჭიროებისათვის უნდა იხარჯებოდეს. რაც გადარჩება—სკოლის შენობათა აგებას უნდა მოხმარდეს. აღდგენა იმ სახლებისა, რომელიც აჯანყების დროს დაუნგრევიათ, სამხედრო ბეგარა ალბანელებმა თავისსავე სამშობლოში უნდა მოიხადონ. წართმეული თოფ-იარაღი უკანვე უნდა დაუბრუნდეთ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

19 ივნისი.

**მაკედონიის ვითარება.**

**სოფია.** 17 ივნისს მაკედონელთა ორგანიზაციების ყრილობა მოხდა, დაადგინეს, უეჭველად საჭიროა ოსმალეთთან ომი და ამ მიზნით, რაიმე გავლენა უნდა მოვახდინოთ ბულგარეთის მთავრობაზეო.

**ლოიდ ჯორჯის სიტყვა.**

**ლონდონი.** ხუთიათას წევროვან კრებაზე ბურფორდში ლოიდ ჯორჯმა მუშათა დაზღვევის გამო სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელიც ამ საქმეს წინ ედობებიან და დასძინა, ახალ საადგილ-მამულო პოლიტიკას გავიყვანთ. ჩვენ მოვალენი ვართ გავანთავისუფლოთ მიწა, რომელსაც ფეოდალიზმი შემოჰხვევიაო.

**პორტუგალიის მდგომარეობა**

**პარიზი.** ლისაბონიდან იუწყებიან, მონარქისტები სცდილობდნენ ჩრდილოეთ პორტუგალიაში აჯანყება მოეწყოთ. არეულობაში ჯარი ჩარეულა. რამდენიმე კაცი დაუჭრ-დაუხოციათ.

**ტიბეტელების შესევა.**

**პეკინი.** სარწმუნოდ ამბობენ, ტიბეტლები სიჩუანის პროვინციაში შევიდნენ კიდეცაო.

**სპარსეთის ვითარება.**

**ქოი.** სეერდთან ვანიდან გამოგზავნილი ჯარი დაბანაკდა. მან უნდა მოსპოს მოძრაობა, რომელიც მისის დამლევს დაწყებულა, აჯანყებულა ქურთთა მოწინავე თემი ბედერხანებისა და ოსმალებისათვის წარუდგენია საპოლიტიკო და საეკონომიო მოთხოვნანი.

ოსმალებს ამ დღეებში შეტაკება მოსვლიათ და 50 კაცი დაუკარგავთ.

**თავრიზი.** შაჰსევნებს 17 ივნისს თავრიზ-აგარის ტელეგრაფი გაუფუჭებიათ. შუჯამ სერაბიდან რეშიდულმულკისაგან დეპეშა მიიღო, სერაბისაკენ ათასი შაჰსევანი წამოსულაო. შეშინებულს სერაბის ხანს შაჰსევნებთან დამორჩილებაზე ჩამოუგდია ლაპარაკი. რეშიდი სწრაფ დახმარებას თხოულობს.

**მაროკოს საკითხი.**

**პარიზი.** პუანკარემ მაროკოს საქმეთა გამო სიტყვა წარმოსთქვა. პუანკარემ აღნიშნა, საფრანგეთი ხელს ვერ აიღებს მაროკოს პროტექტორატზე, რადგან ეს აფრიკიდან მთლად წამოსვლას ნიშნავსო. პუანკარეს სიტყვის შემდეგ პალატამ 460 ხმით 79 წინააღმდეგ საპროტექტორატო კანონ-პროექტი მოიწონა.

**ოსმალეთის პალატა.**

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. პალატაში სამხედრო და საზღვაო მინისტრებიც არიან. კომისიის მომხსენებელი მოითხოვს კანონპროექტის მიღებას, რომელიც მოპოლიტიკე სამხედრო პირების დასასჯელად შეუმუშავებიათ. სამხედრო პირებს ნება არ უნდა ჰქონდეთო კრებებს და მანიფესტაციებში მონაწილეობისა, გაზეთში წერისა. კომისია სამხედროებს საარჩევნო ხმას უტოვებს. კანონპროექტს იცავს სამხედრო მინისტრი. პალატა კანონპროექტის განხილვას შეუდგა.

**პალაცკის ძეგლი.**

**პრაგა.** პალაცკის ძეგლი აკურთხეს. კურთხევას დაესწრო მეფის ნაცვალი თ-დი ტუნი, სათემო მარშალი, სამუშაოთა მინისტრი თრანკი და ბევრი სხვა. დაესწრნენ აგრეთვე ჩეხელებისა, რუსებისა და სხვა სლავიანთა დეპუტაციები. ძეგლი დიდს ფიგურას წარმოადგენს. გარს შემოჰხვევია სხვა და სხვა ალეგორიული ფიგურები, რომელნიც ჩეხელთა აღორძინებას ჰნიშნავენ. კურთხევაზე ძალიან ბევრი სიტყვა წარმოსთქვეს.

**რუსეთი**

**გაზეთის დაჯარიმება.**

**პეტერბურგი.** „ბირჟევია ვედომოსტს“ 400 მანეთ. ჯარიმა დაადეს 13 ივნისს მოთავსებულ წერილისათვის: „საპოლიტიკო მძებარნი ბალკანეთში“.

**სამისტროს სკოლა.**

**მოსკოვი.** სახალხო განათლების მინისტრმა გუბერნატორებს შეატყობინა, სამინისტროს სკოლებს მაზრათა ერობებს გადავცემთ იმ პირობით, თუ ერობები სასწავლებელთა ფულის პროცენტებს ისარგებლებენ მხოლოდაო.

**კათალიკოსის ჩასვლა.**

**არმავირი.** აქ ჩამოვიდა სომხეთა კათალიკოსი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოვათავსო შემდეგი წერილი:

ამას წინად (აპრილში) თქვენს გაზეთში სურამიდან წერილი იყო მო-

---

საცვლელად უსაბუთო იერიშისაგან... წაიკითხეს საჩივარი: ზედამხ. კომიტეტის მიერ არჩეული პირი დამფუძნებელთა სიაში არ არის და ამიტომ არჩევნები უკანონოაო. წამოდგა ცნობილი ენერგიული საზოგადო მოღვაწე განსვენებული ლუკა ნიკ-ძე ასათიანი (ქალაქის მოურავი და ზედამხ. კომ. წევრი) და ჩვეულებრივ მჭერმეტყველურის და საბუთიანის სიტყვით მიჰმართა კრებას: დამფუძნებელთა სიაში ბევრი ჩვენგანიც არაა შეტანილი,-ან ჩვენი მამებია, ან მათი უფროსი ძმებია, მაგრამ აქამდე ეჭვი არავის გამოუცხადებია ჩვენს ბანკის წევრობაზეო; ლასხიშვილის მამის უფროსი ძმა შეტანილი უნდა იყოს სიაში, როგორც გლეხის მეპატრონე, რადგან ძმა გაუყოფელნი იყვნენ, ამიტომ ყველა ძმები და მათი მემკვიდრეებიც ბანკის წევრები არიანო და სხვა. წაიკითხეს საგუბერნიო მმართველობის საბუთიც ერთი გლეხის შესახებ. აზნაურთა კრება სიცილით მიეგება ერთი გლეხის ამბავს; ხოლო ერთმა წარჩინებულმა თავადმა წამოიძახა: ერთი გლეხი ჩემს მზარეულსაც კი ჰყავდაო! წამოვარდა გაცხარებული თავ. არჩ. ლორთქიფანიძე დ მწარე სიტყვებით უსაყვედურა კრებას უაზრობა და უსაბუთობა მისი მოთხოვნისა. მაგრამ მისი სიტყვები აღარავის ესმოდა: დარბაზში ატყდა ყვირილი: კენჭი, რა საჭიროა აქ ლაპარაკიო! ჩემზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ, პირად მოტივებით გამოწვეულმა, ვნებათა ღელვამ, რამდენჯერმე დავაპირე უარის თქმა, დავიწყე კიდეც ლაპარაკი, მაგრამ ხმაურობაში არაფერი ისმოდა და ამასთანავე მომვარდა განსვენებული ანტონ ნიკოს ძე ლორთქიფანიძე (ისიც წევრი იყო ზედამხ. კომ.), წამავლო ხელი და შემათრია გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში.

დარბაზში საშინელი აურ-ზაური იყო; კენჭი, კენჭი“-ს ყვირილით აიკლეს იქაურობა. ლუკა ასათიანი მედგრად ებრძოდა კრებას, მაგრამ, ბოლოს, იძულებული გახდნენ, ყუთი დაედგათ და ხმები მოეკრიბათ საკითხისათვის: კანონიერად მოიქცა თუ არა შეერთებ. სხდომა გამგეობისა და ზედამხ. კომიტეტისა? სანამ იქ კენჭის ყრა იყო, ანტონ ლორთქიფანიძემ, რომელმაც აუარებელი ისტორია და ანეგდოტები იცოდა, კაბინეტში მოგროვილთ მამაჩემზედაც უამბო ერთი ანეგდოტი, რომელიც წინადაც მქონდა სხვებისაგან გაგონილი:

— ხომ გაიგონეთ, მზარეული. რომ მოუყვანეს გიორგის მაგალითად? მზარეულობა საზოგადოთ დაებადა ამათ გვარს... მამა ამისი, მიხეილი, აფიცერი იყო და თან დიდი ლიბერალი. გლეხების განთავისუფლების წინად თავად-აზნაურობის კრებები იყო ქუთაისში და მიხეილი დიდ მონაწილეობას იღებდა ამ კრებებში, თავგამოდებით ესარჩლებოდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს... ერთ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო იმერეთში ცნობილი მსხვილი მემამულე თავ. ნიკო ჩიჯავაძე— „დიდ ნიკოდ“ წოდებული,—მიხეილმა კვლავ წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა. ამ დროს „დიდმა ნიკომ“ წამოიძახა: მაგას რა ენაღვლება, გლეხები არა ჰყავსო და თითონაც ჩემ სამზარეულოში არის გამოზდილი“-ო. თქვენ სამზარეულოში რომ გამოვიზარდე, სწორედ იმიტომ ვარ ასე გასუქებულიცაო,“ მოუჭრა სიტყვა მიხეილმა და მთელი დარბაზი სიცილით დაიხოცა, რადგან მიხეილი გლახა იმერულ ჩურჩხელასავით იყო ჩამომხმარი!..

გათავდა კენჭის ყრა; რასაკვირველია დიდის ხმის უმეტესობით უკანონოდ სცნეს ბანკის მმართველ ორგანოთა მოქმედება... მეორე დღეს შემოტანიეს 25 მანეთი ბანკის კასაში და მე კანონიერად გავხდი ბანკის დამფუძნებელ წევრად, როგორც ქუთ. გუბ. აზნაური. დანიშნეს ხელახლავ არჩევნები და დამფასებლად ისევ მე ამირჩიეს.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემ არჩევნების წინააღმდეგნი, გარდა მეგრელთა თავად-აზნაურებისა, რამდენიმე ქუთათელი ინტელიგენტიც იყო, გარიყულ დამფასებლის კარგი ნაცნობი და მეგობარი. მათ შორის, ჩემდა სამწუხაროდ, განსვენებული მგოსანი თავ. მამია გურიელიც იყო. კრებაზე ისიც ამხედრდა ზედამხ-კომიტეტის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვდა კენჭის ყრას.. კრება რომ გათავდა, საღამოს, მე და განსვენებული გრიშა აბაშიძე რომელსაც სასტუმროს რესტორანში შევედით. იქ დაგვხვდა, თუ არა ვსცდები, კოტე ბაქრაძე და ცოტა ხანს შემდეგ მამიაც შემოვიდა. მამიას პირადათ არ ვიცნობდი, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიელებს ხშირად გვყავდა, რასაკვირველია, ნანახი, და ძალიანაც გვიყვარდა. მისი ზოგი პატრიოტული ლექსები ზეპირად ვიცოდით; უმთავრესად კი აღტაცებაში მოვყავდით სცენაზე მის დეკლამაციას. ახლაც თვალწინ მიდგია მამია სცენაზე: პენსნე ქვევით ჩამოწეული, მამია ზევიდან გამოიყურება და თავისებურის ხელების ქნევით, მომხიბლავის კილოთი წარმოსთქვამს: „ყმაწვილებო, ჯერ უსურვოთ ჩვენ სამშობლოს დღეგრძელობა“... და ბოლოს: „ასე ვუთხრათ: საქართველო აღზდეგ, გახდი კვლავ თავხედი—არა რა არს უსაშველო, ყმაწვილებო ალავერდი“! ამ „ყმაწვილებო, ალავერდი“-ს ისეთის გრძნობითა და აღტაცებით იტყოდა ხოლმე, რომ მთელი თეატრი ერთხმად და აღტაცებითვე შესძახოდა: „იახშიოლ!..“

გრიშამ მამიას სთხოვა ჩვენთან მოსულიყო და ჩვენთან ესაუზმა. მამია მოვიდა, გამეცნო და მითხრა: „ყმაწვილო, არ გეგონოსთ, პირადად თქვენი საწინააღმდეგო მქონდეს რამე. მე მეწყინა, კომიტეტმა უმიზეზოდ რომ გამორიცხა ძველი მოხუცებული მსახური. „ჩვენი ბანკი, ყმაწვილებო, იმგვარ მოხუცებულებისთვის არის გაჩენილი, ის არის ინვალიდების კამანდა და ახალგაზდებს რა გინდათ იქ, ვნებას მოგიტანთ იქ ყოფნაო!...“ ასეთის ახირებულის არგუმენტაციით გაათავა მამიამ თავის იმ დღეინდელი ოპპოზიციის განმარტება და მერე ხმა აღარ ამოუღია ბანკის საქმეებზე, თუმცა კოტემ და გრიშამ იერიში მიიტანეს მასზე და მხურვალედ უმტკიცებდნენ, ბანკი არც არის და არც უნდა იყოს „ინვალიდების კამანდის“. მალე ყველანი გავერთეთ მამიასთან მეტად ტკბილ საუბარში პოეზიასა და ჩვენი ქვეყნის ძველსა და ახალზე და ბანკიც, იმ დღის საზარელი კრებაც სრულებით გადაგვავიწყდა...

ქუთაისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ მაშინ იყო დასავლეთ საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „შრომის“ დამაარსებელი და რედაქტორი, თავ. დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი. განათლებული, შრომის მოყვარე და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ, რამდენადაც მაშინ შემეძლო დაკვირვება და როგორც სხვებისაგანაც გამიგონია, საფინანსო ფართო მხედველობისა და გამჭრიახობის ფხა არ ჰქონდა, რომ ბანკის საქმეები ენერგიულად წაეყვანა განვითარების გზაზე. მისი უახლოესი თანაშემწენი ბანკის დირექტორები თავ. ნესტორ ერისთავი და ი. პ. ჯაიანი,—მხოლოდ მიმდინარე საქმეებს აწარმოებდნენ, ასე ვთქვათ ბანკის „სტატისტიკა“ იცოდნენ; ამრიგად, ბანკის „დინამიკას“ ხელმძღვანელი არა ჰყავდა და ამიტომ ეს დაწესებულება თითქმის არ იზრდებოდა... ჩემს განყოფილებას დამფასებელ კომისიას — თავმჯდომარეობდა თავ. სამსონ წულუკიძე, რომელიც გამოცდილ და ფრთხილ დამფასებლად ითვლებოდა. დამფასებლად იყო მაშინ აგრეთვე ჩვენი გამოჩენილი არტისტი კოტე მესხიც. იგი უკვე გაძოსული იყო მაშინ სასცენო ასპარეზზე, მაგრამ მონაწილეობას იღებდა უფრო როგორც სცენის მოყვარე და არა როგორც პროფესიანალი არტისტი. ნიჭიერი მსახიობი რომ იყო, აქას ბანკშიაც ყველა მისი ამხანაგები ჰხედავდნენ. არ შემიძლიან აქ მაგალითისთვის არ კავიხსენო, როგორის ინტერესით ვუცქერდით კოტე მესხს, როცა თავის ურიცხვს კრედიტორებს „უსწორდებოდა“. მისი კრედიტორები სულ ქუთათელი ურიები იყვნენ; ყოველ ოც რიცხვს, ჯამაგირების მიღების დღეს, სათითაოდ გამოცხადდებოდნენ ხოლმე ვალის მისაღებად. დამფასებლების ოთახი აივანზე გადიოდა ფანჯრებით და კარით, ისე რომ წინდაწინვე ვხედავდით, ვინც ჩვენკენ მოდიოდა. კოტე, რომელმაც მშვენიერად იცოდა ყოველ თავის კრედიტორის ხასიათი, ბეჯითად აღევნებდა თვალყურს, ვინ მოდიოდა, და იმის ხასიათის შესაფერ შეხვედრას უმზადებდა. ზოგს ძრისხანეთ დახვდებოდა დ მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდა, შეშინებული კრედიტორი იმ წამსვე გარბოდა, ზოგს მხიარულის სახით შეხვდებოდა და ხუმრობით გაისტუმრებდა; ზოგს კი მეტად დაღვრემილი და მოწყენილი დახვდებოდა ხოლმე, ესენი ხშირად თვითონვე კიდევ აძლევდნენ ფულს სესხად და თან ანუგეშებდნენ კიდეც, არა ღირს ასე შეწუხებაო! ისე სწრაფად იცვლიდა ხოლმე კოტე პირისსახის გამომეტყველებას, ლაპარაკის კილოს, მანერებს და ისე ბუნებრივი იყო ყოველი ცვლილება, რომ პირდაპირ ესტეტიურ სიამოვნებას გრძნობდნენ გარეშე მაყურებელნი ამ სასაცილო სცენებისა...

მე, რასაკვირველია, დამფასებლობის საქმის არაფერი გამეგებოდა და პირველად ყოვლისა შევუდექ დაფასების აქტების გადაკითხვას, რათა ერთის მხრით საქმის გარეგანი სატეხნიკო მხარე გამეთვალისწინებია და მეორეს მხრით, დაახლოვებითი ფასები გამეგო ყოველ რაიონის შესახებ. საქმე არავითარ სიძნელეს წარმოადგენდა, მხოლოდ პრაქტიკა და გამოცდილება იყო საჭირო და მეც ყველგან მივყვებოდი დამფასებლებს და ვაკვირდებოდი მუშაობას. შემდეგ თვითონვე დავიწყე მუშაობა, მაგრამ არა სრულ საკუთარ პასუხის მგებლობით, არამედ ამხანაგთა რჩევითა და ხელმძღვანელობითა. ასე თანდათან ვეჩვეოდი საქმეს და ის-ის იყო დამოუკიდებლად მუშაობა უნდა დამეწყო, როცა ჩემმა თითქმის მივიწყებულმა „საპოლიტიკო საქმემ“ უმოწყალოდ და სასტიკად გამახსენა თავისთავი და დამატოვებინა არა-თუ ბანკი, არამედ მთლად სამშობლოც.

იმედი მქონდა, რომ „საქმე“— უბრალოდ გათავდებოდა და ისევ უნივერსიტეტს დავბრუნდებოდი; ამიტომ ბანკიც, ქუთაისში მაშინდელი ცხოვრებაც დროებით ეტაპად მიმაჩნდა, რომლის შემდეგ ისევ უნდა გამეგრძო ჩემი მზადება სამერმისო სულ სხვა და უფრო ფართო მოღვაწეობისათვის. და მართლაც ბანკი და ქუთაისში ჩემი მაშინდელი ცხოვრება მოკლე ეტაპი აღმოჩნდა, მაგრამ არა უნივერსიტეტის წინა ეტაპი, არამედ სულ სხვა ცხოვრებისა და სხვა გზისა.

**გ. ლასხიშვილი.**

თავსებული, სადაც ვინმე იობი ადგილობრივ სამკითხველოს ამბავს მოგვითხრობდა და თან დასძენდა: „დღეს თუ სამკითხველო დაკეტილია და გამოწერილ გაზეთებს ხალხი ბ. ხორავას მაღაზიაში კითხულობს, ეს ბ.ბ. მ. მ. ი. ქ. და გ-შოს პირთა ბრალია, რომლებზედაც სამკითხველოს ფული ვალად ითვლება და აღარ იძლევიან". ვინმე იობის ასეთი ცადმოცემა სინამდვილეს დაშორებულია. ბ. მ. მ-ს ადგილობრივ სამკითხველოსთან თითქმის არაფერი დამოკიდებულება არა აქვს, იგი არც სამკითხველოს გამგეობის წევრია და არც თუ როდისმე სამკითხველოს ფულები ყოფილა მის ხელში და თუ მან სამკითხველოს ძველ გამგეს ვექსილით ფული გამოართვა და ამ უკანასკნელმა კი, სამკითხველოს ჩაბარების დროს, ნაღდ ფულის მაგივრად, ახალ გამგეობას, გასანაღდებელი ვექსილი გადასცა, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ბ. მ. მ. უარს ამბობს თავის ვალის გადახდაზე და ან სამკითხველოს გამგეობას უფლება არ ჰქონდეს მას ვექსილის ძალით ხსენებული სამი თუმანი გადაახდევინოს.

ბ. ი. ქ. ეს მე, ამ სტრიქონების დამწერი და სამკითხველოს აწინდელი გამგე გახლავართ და როგორც გამგე, რასაკვირველია მისი ანგარიში ჩემთან ითვლება და ამ ჟამად ჩემზე ნაღდ ფულად მხოლოდ თერთმეტი მანეთი ირიცხება და აი რა მიზეზით არ ვხარჯავდი აქამდისინ ამ ფულს: შარშან ზაფხულს, როდესაც სამკითხველოს არც ერთი კაპეიკი არ გააჩნდა, მე მის სასარგებლოდ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენა გავმართე, საიდანაც სუფთა 23 მან. დაგვრჩა. აქედან 12 მან. წარსულ დეკემბერში გაზეთების გამოწერას მოვახმარეთ, დანარჩენი 11 მანეთი, კი, სამკითხველოს გამგეობის დადგენილებით, ინახებოდა ჩემთან, როგორც გამგესთან, იმ პირობით რომ ამ ფულით ამ მომავალ პირველ თიბათვიდან საზაფხულოდ გაზეთები გამომეწერნა და აი ზაფხულის მოლოდინში ეს თერთმეტი მანეთი ჩემთან ინახებოდა და ინახება კიდეც; თუ ამ დადგენილების და ან ჩემ წინააღმდეგ აქვს ვისმე რამე, მე დიდი სიამოვნებით გადავცემ ვისაც სურს ჩემ ვალდებულებასთან ერთად, სამკითხველოს ყველანაირ ანგარიშს და იმ თერთმეტ მანეთსაც. რაც შეეხება ბ. გ. შ—ს, რომელსაც იობმა მასაც კლანჭი გაჰკრა, ამაზე იმას ვიტყვით, რომ მე როგორც გამგე კარგად ვიცი სამკითხველოს ავლადიდება და ამიტომ დარწმუნებით მოვახსენებ ჩვენ იობს, რომ სამკითხველოსი ბ. გ—შს არც როდისმე ჰქონია და არც თუ ეხლა ითვლება რამე, იგი არას დროს სამკითხველოს გამგედ არ ყოფილა და არც თუ მისი სალარო მას როდისმე ჰბარებია, პირიქით სამკითხველოზე დრამატიულ საზოგადოების ფული 12 მანეთი ითვლება ვალად, ასე რომ სამკითხველოს მთელ ავლადიდებად ითვლება ამ ჟამად მხოლოდ 29 მანეთი, რომელზედაც გვითითებს ვინმე იობი და ამბობს: ეს ფული ეხლა რომ ნაღდად გვქონდეს ხელში სამკითხველოს კლიტეს ჩამოვხსნიდით, ჯამაგირიან მეთვალყურეს დავიჭერდით და ბ. ხორავას მაღაზიაში გაზეთების კითხვა აღარ დაგვჭირდებოდა.

1910 წელს, როდესაც ტფილისის წ.-კ. გ. საზოგადოების სახელით სურამში ძველი სამკითხველო განახლდა, მას იმ დროს ფულად კაპეიკიც არ გააჩნდა, მაგრამ სამკითხველოს მომწყობებმა საქმე მაინც რიგიანად წაიყვანეს—მათ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან კავშირი შეჰკრეს და იგი მათ შენობაში უფასოდ მოათვსეს. ამის გარდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობა თავის ფულით ზოგიერთ გაზეთების გამოწერასაც შეჰპირდა და განზრახული იყო სამკითხველოს მუდმივ ჯამაგირიან მეთვალყურის დაყენებაც. ის იყო საქმემ რიგიანად მსვლელობა დაიწყო, რომ ვიღაც სოფლის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი შესდგა, რომელიც ხალხში სხვა და სხვა უცნაურ ხმებს ავრცელებდა: „დრამატიულმა საზოგადოებამ სამკითხველოც ხელში ჩაიგდო, რა საჭირო იყო სურამში სხვა და სხვა ეროვნების სოფელში სამკითხველო წ.-კ. გ. საზოგადოების სახელით გახსნილიყო და სხვა". ამგვარ ლაპარაკით იქამდის მივიდნენ, რომ დალაგებული საქმე აშალეს და სამკითხველო სხვა დაქირავებულ შენობაში გადიტანეს, რისთვისაც დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი სამკითხველოს ჩამოშორდნენ და სამკითხველოც ამრიგად დარჩა სრულიად უსახსროდ. ამის შემდეგ, რამდენი ხანი იყო, რომ სამკითხველო არ დაკეტილიყო და თუ ხან და ხან თითო-ოროლა მანეთს შეაგროვებდნენ და გაზეთს გამოიწერდნენ, რომ ის სამკითხველოს გვერდით მდგომ ბ. ხორავას მაღაზიაში არ დაელაგებინათ და მკითხველისთვის იქ მაინც არ მიეცათ შეძლება, რომ იქ დაეკმაყოფილებინა თავის კითხვის წყურვილი.

ახლა ვკითხოთ ჩვენს იობს: ვინ ყოფილა სამკითხველოს მოვალე ზემოხსენებული პირები თუ ჯიბრით აღვსილი მოწინააღმდეგეთა ჯგუფი? ადგილობრივ საზოგადოებას ვუცხადებ, რომ თუ იგი იზრუნებს რასმეს სამკითხველოს გასაუმჯობესებლად ხომ კარგი, თუ არა და, ასეთ მდგომარეობაში მყოფ დაწესებულების გამგეობა არა მსურს და იძულებული ვიქნები მთავრობის საშუალებით თავი გავინთავისუფლო ხსენებულ ვალდებულებისაგან.

სურამის სამკითხველოს გამგე
**ილიკო ქურდევანიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. „სახალხო გაზეთი"-ს 542-553 ნომერში მოთავსებული იყო წერილები ბ-ნთ „ნისა" და გონაშვილისა. ასეთივე შინაარსის წერილი იყო მოთავსებული გაზ. „კოლხიდა"-ში ბ-ნ ბარდლას მიერ. ყველა ეს პირნი ეხებიან იმ ამბებს, რაც ადესაში მოხდა და ათასნაირ ბრალდებას მიყენებენ. ყველა ეს ბრალდებანი უსამართლოდ და უსაფუძვლოდ მიმაჩნია. ამიტომ შემდეგს წინადადებას ვაძლევ ბ-ნ ნის, ბ-ნ გონაშვილს, „კომისია"-ს, in corpor, სტუდენტთა კრების ბრალმდებელს გ. კუპრაშვილს და ბ-ნ ბარდლას—ერთის თვის განმავლობაში მოაწყონ ქ. ტფილისში გასამართლება. გასამართლება უნდა მოხდეს ისეთს პირობებში, რომ საზოგადოებას ეჭვი არ შეეპაროს სიმართლის აღდგენის შესახებ. როგორც მე, აგრეთვე თქვენ, უნდა გვქონდეს სრული უფლება დასამტკიცებელ საბუთების წარდგენისა. გასამართლება უნდა მოხდეს რაც შეიძლება საჯაროდ. უკიდურეს შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაესწრნენ პრესის წარმომადგენლები.

ჩემის მხრით მოსამართლედ ვასახელებ არ. ჯაჯანაშვილს.

**ნოე სიმონის ძე ძიძიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ? ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** **საავარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ:** **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—II კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ? ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** **საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** **სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** **საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან** **საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/1[illegible], ღამ. 8 ს. 33 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22, ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| —6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა
### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო № 2.** რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია".

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ ტფილისში ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური" ტელ. 682.


# განცხადებანი

## სამკურნალო
### ექიმთა საზოგადოებისა
**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მავაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606"-ით.**

(0—1253—72)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (ფ.)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606" —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1074.80)

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## მელნები

ამხ. „ქიმიკოსი". ქ. ტფილისი. მალაკნის ქ. № 16. (6.524.1)

**გამოცდილ** მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი, № 9, კოლიუჟნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—2 5—1)

იყიდება ლიმონადის ქარხანა

## შ ვ ე ი ც ა რ ი ა
ნაძალადევში

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ, № 3, კავთიაშვილს.** (25—4—18)

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საზებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. ქირტუმოვი.** (თ. 1037.6)

## ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიახის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—86)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

შემთხვევით

## იაფად იყიდება

ფურგონის წინა და უკანა ნაწილები (фургонные передки и задки) ორძიანალ [illegible] 29 თვალი. მიმართეთ რიყეზე, დესიმონოვის ქუჩა, № 23, ეზოში. (2.518.2)

!!! გრცხვენოდეთ !!!

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, მაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაახლოთ მხოლოდ იყიდეთ ლაქის ამომყვანი **კ რ ე მ ი**

Автоматическій пятновыводный кремъ „ЧУДОДѢЙ" Людвига Керiяйнъ. Безъ труда мытья, щетокъ и затраты времени выводитъ всѣ пятна изъ любой ткани. Ц. 20 и 35 к.

**ყოველთვის სუფთად იქნებით.**

იყიდება მხოლოდ კავკას. სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხ. მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125—4)

## ვერა „ბ ა ღ ი ე დ ე მ ი".

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი".** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ადგილობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული. ვასრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას. ყოველ დღე არის **„ცოცხალი თევზი".** დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც. **ტელეფ. № 296.** პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.** (9—1344)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული

## ს.-პეტერბ. პირველ. საპოლიტეხნიკო კურსები

(TECHNIKUM) ორივე სქესისათვის.

ს.-პეტერბურგი, რუჟეინი ქ.

**განყოფილებანი: სახუროთმოძღვრო, საინჟინერო, სამიწისმზომელო, საელექტროტეხნიკო, სამექანიკო, საკომერციო-საეკონომიო.**

მიიღებიან აგრეთვე დაბალ განათლება მიღებულნი, (სამოქალაქო სასწავლებლის კურსის გამვლელნი. თხოვნები მიიღება პირველ მაისიდან. შარშან კურსებზე სწავლობდა **800 მეტი სული.** მისაღებ პირობებს კანცელარია ჰგზავნის 10 კ. მარკის მიღებისთანავე. **კურსებთან მოწყობილია შოფერების სკოლაც.** Метцль. 86224. (4.—289.2)

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

## კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.4)

შესამჩნევი სიიაფე

20, 21 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ივნისს და 2 და 3 ივლისს

## პ. ს. დოროფეევის მაღაზიებში:

1) უმთავრესში, სოლოლაკის ქუჩაზე, გურგენოვის სახლში. ტელეფონი № 583.
2) იაროსლავისაში, მიხეილის ქუჩაზე, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით. ტელეფ. № 838.

რადგანაც უმთავრესი მაღაზია საფუძვლიანად უნდა შეკეთდეს და სეზონიც თავდება, ამიტომ ზემო დასახელებულ დღეებში

ფასები ყველა საქონელზე

## შესამჩნევად დაკლებულია

**განსაკუთრებით იაფად გაიყიდება შეკერილი საზაფხულო ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი:**

**საზაფხულო ხალათები და პერანგები, კაპოტები, მატინე და სხვა. ქოლგები ფერადი „ფანტაზი" და სხვა. ჩულქები, წინდები, ფერადი საცვალი და სხვა. ყოველგვარი საზაფხულო ქსოვილები. საზაფხულო ტრიკო და მაუდის საქონელი მუსლინი მატყლისა. მატყლის მატერიები.** მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილია დიდძალი ნიმუშები სეზონის საქონლისა, რომელსაც ზედ ადევს ფასი.

შესამჩნევი სიიაფე მხოლოდ 12 დღეს.

20 21 22, 23, 24 25 26 27, 28, 29, და 30 ივნისს და 2 და 3 ივლისს.

(1.1345.1)